ხაშურის მოამბე

№13 3 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2015 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტი ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადადის

ხაშურის მუნიციპალიტეტს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შიო ხეცურიანი სტუმრობდნენ. მათ შეხვედრა გამართეს მუნიციპალიტეტის გამგებელთან გიორგი გურასპაშვილთან და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტს 11 ახალი კომპიუტერი გადაეცა.

ხაშურის მუნიციპალიტეტი იმ 5 საპილოტე მუნიციპალიტეტს შორისაა, სადაც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვის პროექტი ხორციელდება. -საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ელექტრონული საქმის წარმოების დანერგვაა, - აღნიშნა შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის გამგებელს პროექტში მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობისთვის.

ელექტრონული პროგრამების ამოქმედება გამოიწვევს ყველა სახის კორესპონდენციის, მათ შორის მოქალაქეთა განცხადებების ელექტრონული ფორმით მოძრაობას, რაც გაამარტივებს დოკუმენტების ოპერატიულად მიღწევას ადრესატამდე, მათ დამუშავებასა და რეაგირებას.

მიეძღვნა დიდი მსმენელის ხსოვნას

ამ დღეებში, ბათუმში, ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში, გაიმართა პრეზენტაცია სახელწოდებით "ნიკო ნიკოლაძე და უცხოური ტექნოლოგიები". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნიკო ნიკოლაძის ნაქონი ნივთები და დანადგარები, ტექნიკა, ასევე მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის ამსახველი მასალები. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესორი ვაჟა შუბითიძე, აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი ვახტაგ გომელაური, დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი და სხვები. გამოფენამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კეთდება საკანალიზაციო ქსელი

სურამში, ამაღლების ქუჩის მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვდნენ საკანალიზაციო ქსელის მოწყობას. წელს ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მოახერხა და ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს პრობლემა გადაუჭრა. სამუშაოები უახლოეს დღეებში დამთავრდება. საკანალიზაციო ქსელის მოწყობა მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინასდება.

განახლების გზაზე შემდგარი

გაზეთს ვგულისხმობ, „ხაშურის მოამბეს“, რომლის განახლებული, სასიამოვნოდ გაფორმებული ნომრები ამ ბოლო დღეებში გამოჩნდა პრესის ჯიხურებში და პირადად ჩემთვის ერთგვარ სიურპრიზად იქცა.

ერთობ უფერული და დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე გამომავალი გაზეთის ასეთი სასიამოვნო სახეცვლილება, არა მგონია, ორიოდეკაციანმა რედაქციამ შეძლო. ეს, უთუოდ, რაიონის ხელმძღვანელთა ძალისხმევებვით გაკეთდა, რაც იმის რწმენას მინერგავს, რომ მომავალშიც არაერთი გონივრული ნაბიჯის მოწმენი გავხდებით.

ყოფილ ხელისუფლებას სულაც ცალ ფეხზე ეკიდა პრესა, მასმედია, საერთოდ, საკუთარი ჯიბის ტელევიზიებისა და ერთი-ორი ასევე ჯიბის გაზეთის გარდა. მე ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო, – ჩვენი ქვეყნის ჭკუანაღრძობი პრეზიდენტის ეს ნათქვამი დირექტივად მიიღეს იმდროინდელმა ჩინოვნიკებმა და, აბა, ვინღა იქნებოდა რაიონული გაზეთის გულშემატკივარი? არადა, ხელისუფლებამ, პირველ ყოვლისა, მასმედიის განვითარებაზე უნდა იზრუნოს, რადგან იგია, სწორედ, შუამავალი ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ვისაც ჰგონია, რომ ხალხის მასების მართვა შესაძლებელია შუამავლის გარეშე, საბედისწერო შეცდომას უშვებს. ამერიკის შეერთებული შტატების წარსულის გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერი თომას ჯეფერსონი ამბობდა, თურმე, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, მთავრობას პრესას ვამჯობინებდიო. ამერიკული დემოკრატიის მამებმა, მათს დღევანდელ მემკვიდრეთაგან განსხვავებით, კარგად იცოდნენ მაღალი სიტყვის ძალა და ფასი.

ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებს, როგორც ჩანს, კარგად აქვთ გააზრებული გაზეთის მაორგანიზებელი ძალა და შესაძლებლობანი, ამიტომაც უზრუნიათ იმაზე, რომ მკითხველს მოუნდეს ამ გაზეთის ხელში აღება-გადაფურცვლა. მერე, თანდათან მათთვის საჭირბოროტო კითხვებზეც თუ მონახეს პასუხები, ხელისუფლებასთან საქმიანი კონტაქტი და თანამშრომლობა გარანტირებული იქნება. ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა გავიმეორო: ხალხი და ხელისუფლება

(დასასრული III გვერდზე)

მეხუთე საბავშვო ბაღი განახლებული სახით შეხვდება აღსაზრდელებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ხაშურის მეხუთე საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას პირადად გაეცნო.

სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

მეხუთე საბავშვო ბაღს ამ მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებია.

საქალაქო კულტურის სახლი იერს იცვლის

საქალაქო კულტურის სახლი (ყოფილი რკინიგზის სასახლე) დიდი ხანია რემონტს საჭიროებს. მისი სრული რეაბილიტაცია მომავალი წლისათვის იგეგმება, წელს კი აქ 18 ათასი ლარის სამუშაოები განხორციელდება. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის ლაურეატები

თამაზ ლაცაბიძე: მადლობა საზოგადოებას ასეთი დაფასებისათვის...

ჩვენი ქალაქის ისტორიას ადამიანები ქმნიან, ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, ცხოვრებით სამაგალითონი და მისაბაძნი არიან და რომლებიც მომავალი თაობისათვის ტოვებენ ფასეულ მემკვიდრეობას, რომელზეც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა

დგას თავისი ისტორიითა და კულტურით. ასეთ ადამიანებს მოფრთხილება, მოფერება და დაფასება ჭირდებათ ჩვენგან, ისევე, ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი ხვალინდელი დღისთვის. სწორედ ამიტომ, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და გადაწყვეტილებით, დაწესდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია, რომელიც საქართველოს მასშტაბებს მოიცავს და იმ ადამიანების ღვაწლის დაფასებას ისახავს მიზნად, რომლებიც თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით, დღემდე ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის სამსახურში დგანან. დაჯილდოვება უკვე შედგა. მკითხველი დამეთანხმება, ჩვენი გაზეთი აქტიურად ადევნებს თვალს პრემიის დაწესებისა და გადაცემის მომენტებს. პრემიის ერთ-ერთ მფლობელს, კარგად იცნობს ქართული საზოგადოება, ბატონმა თამაზ ლაცაბიძემ, არ ისურვა თავის დამსახურებებზე საუბარი ქვეყნისა და მშობლიური ქალაქის წინაშე, თუმცა, საქებარი სიტყვები და მილოცვები არ დაიშურა პრემიის მეორე ლაურიატის, ბატონ გურამ ყორანაშვილის მიმართ. მანამდე კი, პრემიის დაარსებისა და სხვა ნიუანსებზე ისაუბრა:

-ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, დაარსდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. კანდიდატებს წარადგენენ ორგანიზაციები, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, მათი დამსახურებებისა მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის წინაშე და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევაში შეტანილი წვლილისათვის. პრემიას ფულადი სახე აქვს. წელს ორი კანდიდატურა იყო წარდგენილი, მე და ჩვენი თანამემამულე ბ.ნ-ი გურამ ყორანაშვილი, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მან დაწერა წიგნი, "დიმიტრი ყიფიანი ახალი დიმიტრი თავდადებული". ბატონმა გურამმა თავისი სახსრებით დაბეჭდა ეს წიგნი და მთელი ტირაჟი 500 ცალი გადმოსცა სამუზეუმო გაერთიანებას, რომ ჩვენ გაგვევრცელებინა და გარკვეული ფონდი შეგვექმნა დიმიტრი ყიფიანის ძეგლის ასაგებად. სამწუხაროდ, ძეგლის აგება ვერ მოხერხდა, გაკეთდა ბიუსტი, რომელიც გადაეცა დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმს ქვიშხეთში. ვულოცავ, ბ.ნ გურამს, ამ, მართლაც ღირსეულ ეროვნულ პრემიას. ამ პრემიით ერთგვარად შეჯამდა ბატონი გურამის ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილი, არის 25 წიგნის ავტორი, მალე გამოსცემს ისტორიის III ტომეულს, მინდა, რომ ხელმომართული იყოს თავისი მეცნიერული ჩანაფიქრების განხორციელებაში, რომელიც ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ცნობიერების ამაღლებისკენ იქნება მიმართული.

ხოლო, რაც შეეხება პრემიის სიცოხლისუნარიანობას, იგი დამოკიდებული იქნება მუნიციპალიტეტის კეთილ ნებაზე, რომ მომავალშიც წაახალისოს მეცნიერთა ის ჯგუფი, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების კვლევითა და შესწავლითაა დაინტერესებული და დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის კულტურულ განვითარებაში.

„როცა ყველას ეძინა"...

იმ საუკუნეში და იმ წყობაში, ბევრ სხვა სამსახურებთან ერთად, ერთ ფრიად მნიშვნელოვან უწყებასაც ვხელმძღვანელობდი; საუბარია შინაგან საქმეთა განყოფილებაზე (მილიციაზე). იქ პარტიული დავალებით გამგზავნეს – ვიყავი რაიონის მილიციის უფროსი.

ერთხელ, დილაადრიან, დაახლოებით დილის 4-5 საათზე სახლში მინისტრის მოადგილემ სანდრო კავსაძემ დამირეკა და მკითხა: როგორ არის თქვენთან საქმე, ამხანაგო კაპიტანო, ხომ მშვიდობაა?

–დიახ, ბატონო გენერალო, აი, ეს არის ახლა შემოვედი სახლში, მთელი ღამე განყოფილებაში ვიყავი...

–კაი მშვიდობა გქონიათ ხაშურლებს, როცა მოქალაქეებს ქორწილში აყაჩაღებენ და ძარცვავენ,– მითხრა და გათიშა ტელეფონი.

დაუყოვნებლივ გამოვიძახე ოპერატიული სამსახური, მთელი განყოფილება ფეხზე დავაყენე, შევქმენი ოპერატიული ჯგუფი და სურამს მივაშურეთ. დილის 8 საათია. ნახევარ საათში ყველაფერი გავარკვიეთ. თურმე იმ ღამეს ებრაელების უბანში დიდი ქორწილი ყოფილა. თამადაც, დამკვრელებიც, მექორწილეთა აბსოლიტური უმრავლესობა ებრაელები ყოფილან. ჰოდა, იმ ღამეს, სადღაც 2-3 საათზე, დამკვრელებს ნაცნობმა ბიჭებმა (ებრაელებმა) ფული შეაწერეს, რომ ვერ მიიღეს, ძალით წაართვეს, გაძარცვეს ამდენი ხალხის თვალწინ.

დაიწყო გამოძიება და დაიკითხა ნეფე-დედოფალი, თამადა, დამკვრელები, ოცამდე მექორწინე, სტუმარი, მაგრამ აი, საკვირველება! ყველამ ერთხმად პირი შეკრა, რომ მათ არაფერი გაუგიათ, რომ გვიანი იყო და ეძინათ, ან მანამდე წავიდნენ ქორწილიდან. ამასობაში ჩვენ ოპერატიული გზით დავადგინეთ მძარცველთა ვინაობა, მაგრამ არ გვყავდნენ მოწმეები, არ გვქონდა ნივთმტკიცება და სხვა მსგავსი, რის გამოც ამ საქმეს სასამართლოში პერსპექტივა თითქმის უიმედო იყო. საქმე შეჩერდა, გაუხსნელობის გამო, რასაც არავინ გვაპატიებდა. დახმარების მიზნით სამინისტროში სპეცჯგუფი შეიქმნა, რომელმაც წაიღო ეს საქმე და გამოძიება ორმხრივად მიმდინარეობდა. ცალკე სამინისტრო მუშაობდა მის გახსნაზე, ცალკე- ჩვენ. ბევრმა მექორწინემ სამინისტროს სწორი ჩვენება მისცა, რამაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ღირებული გახადა ჩვენს მიერ მოპოვებული ოპერატიული ცნობები. თანდათანობით საქმეს ნათელი მოეფინა – დადგინდა მძარცველთა ვინაობა, წაგლეჯილი ფულის რაოდენობა. თუმცა, მძარცველთ ალიბი ასეთი იყო: დამკვრელები ჩვენი ახლობლები, ჩვენი ნათესავები არიან, დავინახეთ რა ნასვამი ხალხისგან ბლომად მოაგროვეს ფული, გადავწყვიტეთ ფული გვესესხაო, რომ არ გვასესხეს, ძალით წავართვითო, ეს ალიბი დამკვრელებმაც დაადასტურეს. მექორწინე ებრაელებმა ციმბირისთვის ვერ გაიმეტეს საკუთარი ჯიშისა და ქალაქის ახალგაზრდები.

ეს იყო რჯულში გამჯდარი ჩვეულება (რწმენა), რაც მთავარია, ერთად დგომა, ერთად ცხოვრება და ერთად ბრძოლა რჯულისა და რწმენის გადასარჩენად.

რ. სავანელი

თუ საქმე გიყვარს, ჰატარა რესურსითაც შეიძლება დიდი საქმის კეთება

მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, ჩვენი მოსახლეობა კარგად ხედავს, რომ უკანასკნელ პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტში ბევრი რამ კეთდება.

ნათელი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება პატარა რესურსით დიდი საქმის კეთება, ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეული გახლავთ. წელს სოფლის პროგრამებით და ადგილობრივი დაფინანსებით ცხრამუხისთვის 70 ათას ლარამდე იყო გამოყოფილი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხრამუხის გარდა თაგვეთი, ქაშვეთი, დამჩხეულა, კოდისწყარო და რბონა ერთიანდებიან. მართლაც ენერგიულმა რწმუნებულმა მურად ცერცვაძემ მოახერხა და ამ მცირე თანხებით, ადამიანური რესურსის მობილიზებით, ადგილობრივების ენთუზიაზმით ხელშესახები შედეგიც მიიღეს.



ომარ ჩადუნელი, თაგვეთის მკვიდრი:–წლებია გზის მოწესრიგებას ვითხოვდით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისაგან. ძალიან ცუდ დღეში იყო გზის რამდენიმე მონაკვეთი და ქაშვეთთან მისასვლელი გზა. მადლობა გამგეობას, რომ ჩვენს გასაჭირს უწამლეს და ამ მონაკვეთებზე დღეს პრეტენზია აღარავის აქვს. იცით, როდესაც სოფლის მცხოვრები გრძნობს ხელისუფლების ყურადღებას, თითქოს შრომა უფრო ხალისიანი ხდება და დოვლათიც ორმაგდება. ამ დოვლათის გარეშე კი შეუძლებელია ქვეყნის განვითარებაზე ფიქრი. ახლა უკვე გვჯერა, რომ მომავალ წლებში სოფლის სხვა წვრილ-წვრილი პრობლემებიც მოგვარდება და სოფელიც უფრო მყარად დადგება ფეხზე...

მურად ცერცვაძე: –ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში წლის დასაწყისიდანვე დავიჭირეთ თადარიგი და დავსახეთ გეგმა, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა გამოყოფილი თანხით. პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში ყველა ჩაერთო და საერთო გეგმა შევიმუშავეთ. თაგვეთის გზის გარდა, ბევრი სხვა პრობლემაც მოვაგვარეთ. რესტავრაციას ითხოვდა ცხრამუხის ცენტრში მდებარე კოშკი. მიხარია, რომ ამ საქმეს ეშველა. მთლიანად შეკეთდა ძველი სასაფლაოს დაზიანებული მესერი, ღობე გაუკეთდა ომში დაღუპულთა მემორიალს, კეთილმოეწყო ასევე ცენტრში არსებული დასასვენებელი ბაღი (მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს), გაკეთდა ქვაფენილები, გამწვანება. რაც ყველაზე ძალიან მიხარია, გადაწყდა დიდი ხნის პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო ე.წ. „ახალი დასახლების“ მოსახლეობის სასმელ წყალთან. შევიძინეთ მილები, გაკეთდა რეზერვუარი და ისინი სოფელ რბონიდან მიიღებენ წყალს. ამით 60 ოჯახს მოეხსნება დიდი ხნის პრობლემა.

უახლოეს პერიოდში დავასრულებთ აგრეთვე დამის განათების სამუშაოებს...

ცხრამუხაში მიმდინარე სამუშაოები ამით არ ამოწურულა. ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის გამგებლის დანაპირები, რომ აუცილებლად მიხედავდნენ ამ სოფელში არსებულ საფეხბურთო სტადიონს. დანაპირები შესრულდა და უახლოეს დღეებში სტადიონზე სამუშაოები დამთავრდება, რაც მისასალმებელია, ინფრასტრუქტურა იმ დონეზე გაკეთდება, რომ ჩვენს საფეხბურთო კლუბ „ივერიას“ თავისუფლად შეეძლება აქ უმასპინძლოს მეტოქეებს.

დიახ, მართლაც ასეა: თუ ენთუზიაზმია, თუ შრომა არ გეზარება, თუ სოფლის სიყვარული გაქვს და თუ მოინდომებ, პატარა რესურსითაც შეიძლება დიდი საქმე აკეთო.

გ. მაღრაძე

(დასასრული)

განახლების გზაზე შემდგარი

თუ ერთად არიან, წარმატება გარანტირებულია. ერთად ყოფნა კი ყველაფერზე თავის კანტური როდია. შეცდომებზე გულისტკივილით მითითება და გამოსწორების გზისა და ხერხების შეთავაზება მეგობრობაა და არა–მტრობა. სწორედ ასეთი თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებაა ჭეშმარიტი მიზანი და კონსტრუქციული პოზიცია მასმედიისა, რომელიც თავისი ბუნებით მარადიული ოპოზიციონერია.

სამწუხაროდ, ჩვენში დამკვიდრებული მოსაზრებით და პრაქტიკითაც, ოპოზიცია მოწინააღმდეგედ მოიაზრება, რაც საფუძველშივე მცდარია. პრესა იმ აზრს უნდა ამკვიდრებდეს, რომ მამულიშვილობა ხელისუფლების კი არა, ქვეყნის ერთგულებაა, რაც ერთნაირად მოეთხოვება ყველა მოქალაქეს. ქვეყნის ერთგულ კაცს არ შეიძლება სიხარულს ჰგვრიდეს ხელისუფლების შეცდომა ან წარუმატებლობა, როგორც ეს ჩვენს „სანაქებო“ ოპოზიციას ახასიათებს.

ჭეშმარიტმა მასმედიამ რაციონალური აზრის დამკვიდრებისათვის უნდა იბრძოლოს!

სწორედ ასეთი პოზიცია დავინახე ხელისუფლების მიერ გადადგმულ იმ ნაბიჯში, რომელიც „ხაშურის მოამბის“ განახლებისკენ გადაიდგა.

ღმერთმა ქნას, იმედი არ გამცრუებოდეს არც მე, გაზეთის ერთ რიგით მკითხველს და არც სხვას, ვისაც ჩვენს ქვეყანაზე, საერთოდ, და ჩვენს მშობლიურ ხაშურზე შესტკივა გული.

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ერთგული
მკითხველი და მეგობარი ზურაბ ცუცქირიძე

გაცრეცილი ფოტოები

ვაგრძელებთ რუბრიკას „გაცრეცილი ფოტოები“ და დღესაც სამ ძველ ფოტოსურათს ვთავაზობთ მკითხველს. ვიდრე ამ ფოტოების ისტორიას მოგითხრობდეთ გვინდა, ყველას ვთხოვოთ: თუ პი-



რად არქივში მოგეძებნებათ საინტერესო ფოტოსურატები, რომელბიც რაიონის ისტორიას ასახავს, ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ მათ.

რაც შეეხება დღევანდელ „გაცრეცილ ფოტოებს“, ზემო სურათი წინა საუკუნის ოცდაათიან წლებშია გადარებულია და მასზე ხაშურის აგურის ქარხნის ფრაგმენტია ასახული. ამის შემდეგ ამ ქარხანამ კიდევ 40 წელი იარსება და ბევრი კეთილი საქმეც აკეთა – ჩვენს რაიონში არსებული სახლების 50 პროცენტზე მეტი სწორედ ამ ქარხნის აგურითაა ნაშენები, რომელიც მართლაც უმაღლესი ხარისხის იყო.

შუა სურათი 1982 წელს, რიკოთის უღელტეხილზე გაჭრილი გვირაბის გახსნისასაა გადაღებული. ცენტრში კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლევან დათიაშვილია მშენებლებთან ერთად. სხვათაშორის, ერთი საინტერესო ფაქტი: ამ გვირაბის დამთავრებიდან ზუსტად საუკუნის წინ – გაიხსნა წიფის გვირაბი, რომლის სიგრძე 4 კილომეტრია და დიამეტრი 0,5-ჯერ მეტი რიკოთიოს გვირაბზე. იმ გვირაბის მშენებლობას 4 წელი დაჭირდა (არ დაგავიწყდეთ, ჩამონაშალ მიწას ურმებით ეზიდებოდნენ გარეთ). რიკოთის გვირაბი კი სულ 1600 მეტრია და 6 წელი აშენებდნენ. ეს ისე, ცნობისთვის.

ქვემო ფოტოზე კი ზემო სერის კულტურისა და დასვენების პარკია და ნათლად ჩანს, როგორი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა ეს პარკი. აქ არსებული საბავშვო რკინიგზა კი უპრეცედენტო იყო. ასეთი რკინიგზა საბჭოთა კავშირის მასშტაბით სულ ორი იყო – ერთი თბილისში, მეორე – ხაშურში. დღესაც გაკვირვებას იწვევს, როგორ „მოვახერხეთ“ და ეს უნიკალური პარკი სრულიად გავანადგურეთ, ისე, რომ იქ ყოფილი ინფრასტრუქტურის „მოლეკულური“ ნაშთიც კი აღარ არის.

მწვანე ოპერაციების არასწორი პრაქტიკა

ქართველი გლეხი უხსოვარი დროიდან მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას და ვაზის მოვლა-მოყვანის მრავალი ორიგინალური წესიც აქვს შემუშავებული.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის ბოლოს, ფეხი მოიკიდა რამდენიმე არასწორმა წესმა – ვაზის ბიოლოგიისათვის მავნე „მწვანე ოპერაციამ“. ასეთია, მაგალითად, ვაზზე ფოთლების შეცლა და 3-4-ჯერ თავების გადაჭრა.

ამჟამად ამ ღონისძიებამ მიიღო დამახინჯებული სახე. არა მარტო გლეხურ მეორნეობაში, არამედ სერიოზულ სამრეწველო ვენახებშიც.

ბოლო წლებში გლობალურმა დათბობამ მნიშვნელოვნად შეცვალა აგროკლიმატური პირობები. ზაფხულის ინტენსიურმა სიცხეებმა, მზის ძლიერმა, გამჭოლმა პირდაპირმა სხივებმა შესამჩნევად დაა-

ზიანა ყურძნის მტევნები, საგრძნობლად დააზიანა მარცვალი. ამიტომ ისეთი არაეფექტური, ძვირადღირებული სამუშაო, როგორიც არის ფოთლების შეცლა, უნდა მიეცეს დავიწყებას და გამოირიცხოს მწვანე ოპერაციების სიიიდან, ვაზი ფოთლების შეცლას არ საჭიროებს.

აგრეთვე, დაუშვებელია თავების გადაჭრა – „ცის გახსნა“ 2-3-ჯერ წელიწადში. ცის გახსნა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ, ვაზის ზრდის შეჩერების ფაზაში, შეთვალების დაწყების წინ. სხვა დროს ამ ოპერაციის ჩატარებას უარყოფითი შედეგი მოაქვს.

რ. კურტანიძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ყირიმ-კონგოს ვირუსი ხვლავ დაფიქსირდა

ყირიმ-კონგოს ინფექციის შარშანდელი ფატალური შემთხვევების შემდეგ, წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში პრევენციის განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, რაიონის სოფლებში, განსაკუთრებით კი გომი-ალი-წაღვლის ზონებში სპეციალური ხსნარებით დამუშავდა საქონლის სადგომები, ბაღები, მინდვრები და ა.შ. სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ამ ინფექციის გადამტანთა სრული ლიკვიდაცია ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ამ დღეებში სოფელ აძვისში კვლავ დაფიქსირდა ორი შემთხვევა. აძვისის მკვიდრნი გია და ნაილი ხაჩიძეები ყირიმ-კონგოს დიაგნოზით თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. შესაბამისი სამედიცინო ჩარევების შემდეგ, მათი მდგომარეობა სტაბილურია და სახლის პირობებში აგრძელებენ მკურნალობას.

მომხდარს გამოეხმაურა ჯანდაცვის მინისტრიც – დავით სერგეენკოს თქმით, პანიკის საფუძველი არ არსებობს. მისივე თქმით, სოფელ აძვისში, სადაც ვირუსი გამოვლინდა, სპეციალისტები გამოსაკვლევად უკვე გაემგზავრნენ. –საქართველოში წლის განმავლობაში ყირიმ-კონგოს ცხელების 5-დან 7 შემთხვევამდე ფიქსირდება. ამასთან დაკავშირებით სპეციალისტები მომზადებულები არიან და ყველა შემთხვევაზე მყისიერ რეაგირებას ახდენენ. დამერწმუნეთ, არანაირი პანიკის საფუძველი არ არსებობს,–ამბობს დავით სერგეენკო.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები საქონელთან ურთიერთობისას, მოსახლეობას სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ.

შეგახსენებთ, რომ ყირიმ-კონგოს ვირუსის ნიშნებია: მაღალი ტემპერატურა, სისხლჩაქცევები კანზე, ვითარდება სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან. ინფექციის გადამტანები თაგვები და ტკიპები არიან.

მუნიციპალური პროგრამები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის

ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების ძირითად მაჩვენებელს ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. და მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მცდელობისა და უამრავი სახელმწიფო პროგრამებისა, რომელიც შექმნილი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, დამეთანხმებით, პრობლემა პრობლემად რჩება. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რაიონში, როგორ ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი მუნიციპალიტეტი და რა სახელმწიფო სოციალური პროგრამები მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი **გიორგი ცერცვაძე** ისაუბრებს:

–2014 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, " ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ საკუთარ უფლებამოსილებათა შესაბამისად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურების მობილიზებას. 2014 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში სოციალურ სფეროს მოხმარდა 747100 ლარი, სხვადასხვა ფორმით სოციალური დახმარება გაეწია 32238 პირს,ოჯახს. გაწეული დახმარებების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დახმარებას, ხელმოკლე სტუდენტებისთვის სწავლის ქირის თანადაფინანსებას, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების ღონისძიებებს, ასევე, 89 300 ლარით განისაზღვრა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ, შესაძლებელი გახადა გამოთავისუფლებული სახსრები სხვა მიმართულებითაც გადანაწილებულიყო.

გასულ პერიოდებში დაგროვილი გამოცდილების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, გამგეობამ 2015 წლისთვის შეიმუშავა სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული უფრო დახვეწილი და მიზანმიმართული მუნიციპალური პროგრამები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მუნიციპალიტეტში სოციალური ატმოსფეროს გაჯანსაღებას. აღსანიშნავია ერთი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველთა ქულადი შეფასება 57 000-ის ქვემოთაა, ჩვენ ოპერაციებით, გამოკვლევებითა და მედიკამენტური დახმარებებით 100 000 ქულის მქონე ბენეფიციარებსაც კი ვუწევთ დახმარებას. სოციალური პრიორიტეტები თითქმის იგივე დარჩა გაზრდილი ბიუჯეტით. ესაა ხუთი პრიორიტეტული პროგრამა: 1) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა,რომლის მიზანი ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამით მოსარგებლეები ისევ და ისევ სოციალურად დაუცველი მოსახლეობაა, რომელთა მკურნალობის, გამოკვლევის, მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 2000-ია. 2)ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა, ბენეფიციართა რაოდენობა 35 საჯარო პედაგოგით განისაზღვრება. 3) უმწეოთა უფასო კვების 2015 წლის მუნიციპალური პროგრამა. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები ის სოციალურად დაუცველი პირებია, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-70-000 ქულის ფარგლებშია, შრომისუუნარო და მარტოხელაა. მათი რაოდენობა 185-ია და დაფინანსების წყაროს, როგორც ყველა პროგრამის განსახორციელებლად, აქაც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. 4) ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა-ეს პროგრამა იმ დევნილ და სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს აძლევს მუსიკალური განათლების მიღების შესაძლებლობას, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70 000 ქულას. ასეთი ჩვენს მუნიციპალიტეტში 200-მდე მოსწავლეა. 5) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა, რომლის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობაა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, "სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის" შესაბამისად, დაფინანსებული თანხების შესახებ 2015 წლის მდგომარეობით, ჯამში 461 295 ლარი გაიხარჯა ისეთი პროგრამების განსახორციელებლად, როგორიცაა: ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (12 564 ლარი), ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია (10 350 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოცილური დახმარება (43 500 ლარი), სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური დახმარება (79 850 ლარი), ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (80 075 ლარი), ხელმოკლე სტუდენტების დახმარება (42 149), მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება (18 000 ლარი), მრავალშვილიანი(ოთხი და მეტი შვილი) დედების დახმარება (80 100 ლარი) და სხვა კატეგორიის ბენეფიციართა დახმარების პროგრამები. კვების პროდუქტების სადღესასწაულო პაკეტები იმ ადამიანებს გადავეცით, რომელთა ქულების რაოდენობა მინიმალურია. იმედი გვაქვს, მომავალ წელს ჩვენი ბიუჯეტი უფრო მეტი ადამიანის დახმარების შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას...

ბატონი გიორგის ნათქვამს მხოლოდ ერთს დავუმატებთ: მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის–2016 წლის ბიუჯეტის ფორმირება უკვე მიმდინარეობს. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ ბიუჯეტის მიხედვით, მომავალ წელს სოციალური პროგრამებისთვის უფრო მეტი თანხა იქნება გამოყოფილი, ვიდრე წელს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია.

თ. ჯავახიშვილი

მიხეილ სააკაშვილი უცნაური შარვლის გამო დაცინვის ობიექტად იქცა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამად ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში კიდევ ერთხელ იქცა დაცინვის საგნად. ამჯერად სააკაშვილი ახალი საპატრულო პოლიციის

ფიცის დადების ცერემონიაზე ძალიან უცნაურ შარვალში გამოცხადდა.

პირველად მის უჩვეულო ჩაცმულობაზე ყურადღება ჟურნალისტმა ზოია კაზანჯიმ გაამახვილა, როდესაც გამოაქვეყნა ფოტო,სადაც უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს და ოდესის მერ გენადი ტრუხანოვს შორის დგას სააკაშვილი,რომელსაც ძალიან სასაცილო შარვალი აცვია.

”ამ კადრმა სადამო გამიმხიარულა. მარცხნივ ოდესის მერია, გვერდით გუბერნატორი. თითქოს მერი სადაცაა გონებას დაკარგავს, გუბერნატორს კი შარვალი უკუღმა აცვია. ძალიან სასაცილო კაცები არიან. მხოლოდ პოლიციელი ინარჩუნებს სიმშვიდეს” - წერს კაზანჯი.

უკრაინაში ოფიციალურ მედიაში თვალი აარიდეს ოდესის გუბერნატორის ჩაცმულობას,მაგრამ სოციალურ ქსელებში სააკაშვილი ყველა შესაძლო ხერხით გააშარჟეს. უმეტესობა დარწმუნებულია,რომ სააკაშვილმა შარვალი უკუღმა ჩაიცვა და ფიცის მიღების დროს ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო.

ზვიად ნოზაძის სახელობის ტურნირი

21 აგვისტოს, სოფელ ალში, ჩატარდა ზვიად ნოზაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. საპრიზო ადგილები შემდეგნარად გადანაწილდა:

30 კგ. – 1. გელაშვილი გიორგი; 2. ნოზაძე ბექა; 3. ტუსიაშვილი ალიკა.

33 კგ. – 1. ბეჟანიშვილი თემო; 2. ნოზაძე დათო; 3. ქიტიაშვილი გოგა.
36 კგ. – 1. გელაშვილი როინი; 2 .ნოზაძე ვაჟა; 3. მაჭარაშვილი ანდრო
40 კგ. – 1. ბედოშვილი გიორგი; 2. ნოზაძე გიგა; 3. ნოზაძე გიორგი.
44 კგ. – 1. არღვლიანი ავთო; 2. ნოზაძე ზვიადი; 3. ნოზაძე სულხანი.
48 კგ. – 1. ნოზაძე ლაშა; 2. კუჭაიძე ვასილი; 3. გელაშვილი უჩა.
52 კგ. – 1. ნოზაძე მიშიკო; 2. ნოზაძე ვახო; 3. ბუხრიკიძე ნოდარი.
56 კგ. – 1. ნოზაძე ვასიკო; 2. გელაშვილი ნოდარი; 3. ჩადუნელი ბექა.
60 კგ. – 1. ნოზაძე შოთა; 2. ბერიძე ნიკა; 3. მელაძე რეზო.
65 კგ. – 1. ნოზაძე გიორგი; 2. ასანიძე გიორგი; 3. ინასარიძე ნოდარი.
73 კგ. – 1. შერაზადაშვილი; 2. სტეფნაძე ჯონი; 3. ორთოიძე ნუგზარი.
+ 73 კგ. – 1. ნოზაძე ლუკა; 2. მამულაშვილი ნიკა; 3. მეტრეველი ვახო.

საინტერესო და უცნაური ფაქტები

1. კენგურუ ვერ ხტება, თუ მისი კუდი მიწას არ ეხება.
2. "Reastaurant" არის სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად წერენ შეცდომით საძიებო სისტემებში.
3. ამერიკის ერთ-ერთ შტატში, კვირაობით ცოლის მკერდზე კოცნა კანონით არის აკრძალული.
4. 10 ლოკოკინას დასახლებით 25000 კბილი აქვს.
5. ახალშობილები საამყაროს ამობრუნებულს ხედავენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს თავისით გაივლის.
6. windows-ის პროგრამაში, არ შეიძლება შევქმნათ პა-პკა სახელად "con", რადგან windows-ის დამფუძნებელს ეძახდნენ ასე და მას არ უნდოდა ეს გამეორებულიყო.
7. ადამიანის თეძოს ძვლები ბეტონზე მტკიცეა.
8. ნეკნები სუნთქვისას მოძრაობენ. აქედან გამომდინარე, ისინი წელიწადში დასახლებით 5 მილიონჯერ იცვლიან ადგილს.
9. ვერცერთი ადამიანი ვერ იტყვის ასო ს-ს ენა-გამოყოფილი.
10. მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ითვლოთ, 3 მილიარდზე ვერ ახვალთ.
11. ა.შ.შ.-ის დოლარის კუპიურაზე შავკანიანი მმართველი არასოდეს ყოფილა გამოსახული.
12. 1 მილიონი ლარი 7 კილოგრამს იწონის.
13. ერთადერთი ქვეყანა, სადაც 1983 წლის შემდეგ არც ერთი დაბადება არ დაფიქსირებულა ვატიკანია.
14. ზვიგენები 1 წვეთ სისხლს გრძნობენ 600 ათას ლიტრ წყალში 500 მეტრის დაშორებით.
15. იმ ბაქტერიების საერთო რაოდენობა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცხოვრობენ, 2 კილოგრამია.
16. ადამიანის ორგანიზმში ყველაზე ძლიერი კუნთია ენა.
17. ქალები მამაკაცებზე 2-ჯერ უფრო ხშირად ახამხამებენ თვალებს.
18. ადამიანის ძვლების 50% წყლისგან შედგება.
19. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს 413 საწოლი ჰქონდა.
20. საჰილოს 1 ეშვისგან 15 კილოგრამი მზადდება.

ჩვენი საგანძური

იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი

იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის კომპლექსი აგებულია XVI საუკუნის ბოლოს კათალიკოს დოროთეოზის დაკვეთით. 1645 წ. ქართლის მეფე როსტომს (1658 წწ.) და მის მეუღლეს მარიამს იტრიის მონასტრისათვის ყმები და მიწები უბოძებიათ.

იტრიის სამონასტრო კომპლექსის შესახებ გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სურამს ზეით, სამხრიდან მოერთვის ამ წყალს ურთხვის ხევი, მას ზეით არის ისტორიული მონასტერი ყოვლადწმინდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად“.



კომპლექსი შეკეთებულია XIX საუკუნეში. სარესტავრაციო სამუშაოები აგრეთვე ჩატარდა სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს მიერ 1969 წელს. 1997 წელს ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში ნაპოვნი იქნა ტრაპეზის ქვა. ამავე წელს ტაძარი აკურთხა მეუფე იობმა, ამოქმედდა იტრიის სიონი, აქვე გაიხსნა დედათა მონასტერი. 2001 წელს ტაძარში საკურთხევლის სამხრეთით მეუფე იობმა აკურთხა ტრაპეზის ქვა წმ. მენელსაცხებლე დედათა სახელზე. ტაძრის სამრეკლო აგებულია 1656 წელს ბეჟან ჩხეიძისა და ეკლესიის წინამძღვრის ნიკოლოზის დაკვეთით, რაზეც მეტყველებს აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებული მხედრული წარწერა. ამავე წელს აუშენებიათ გალავანიც.

იტრიის ღვთისმშობლის მიძნების სახელობის ტაძარში ყოველწლიურად, 28 აგვისტოს აღინიშნება მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული.

ინტელექტუალთა პაექრობა სურამში

სურამელი ახალგაზრდების ინიციატივითა და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, სურამის კულტურის სახლში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში “ ლოგიკა და ერუდიცია”.

თამაშში მონაწილეობდა სამი გუნდი. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. განათლების, კულტურის და სპორტის სამ-

სახურმა გამარჯვებულ გუნდს პრიზი გადასცა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.